

ოთარ მიქიაშვილი

ჭაობ-ის ეტიმოლოგიისათვის<sup>1</sup>

ჭაობ- სიტყვის ფუძეში -ობ სუფიქსის გამოყოფის შემდეგ თითქოს ძირად რჩება ჭა-, მაგრამ მისგან ჭაობ- ფუძის მომდინარეობა არაღამაჯერებელი ჩანს.

ფიქრობთ, საკითხის გარკვევისათვის გასაღებს იძლევა რაჭულ კილოში არსებული ჭარ- მარტივი ფუძე და მისგან ნაწარმოები ჭარ-ოფი (←ჭარ-ობ-ი) ჭაობის მნიშვნელობით.

ჭარ-ი რაჭულში ნიშნავს „დაბალ, ნოტიო ადგილს, ტენჯყს“ (1). ქვემო რაჭულში მას კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. აქ ჭარი ჰქვია წყლით სავსე პატარა გუბურასაც, რომელიც მსხვილფეხა ცხოველის ნაფეხურში წვიმის წყლის დაგროვების (ჩადგომის) შედეგად წარმოიქმნება. ბაყაყს, რომელიც ამ გუბურაში ახალ ნაწვიმარზე ჩნდება, ჭარის ბაყაყს ეძახიან. როცა წვიმის შემდეგ მზე დააცხუნებს და მცენარე „მოიწყენს“ (მაგალითად, ახლადმოაულ სიპინდს ფოთლები შეუჭკნება), იტყვიან მზემ მცენარე მოჭარაო. ჭარძირს (აღნიშნულთან ახლომდგომი მნიშვნელობით) იცნობს საბაც. „სიტყვის კონაში“ ჭარი განმარტებულია, როგორც ჭარო. ჭაროს შესახებ კი ნათქვამია: „ჭარო — ქორსა ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით (ხაზგასმა ჩვენია ო.მ.) და სჭამს (2). ლეჩხუმურში ჭარო-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ნოტიო ადგილი“ (1).

ჩვენი აზრით, ჭარ- როგორც ბგერობრივ, ისე სემანტიკურად წყალძირს უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ვნახეთ, ზემოთდასახელებული სიტყვები: ჭარი, ჭარო აშკარად წყალს უკავშირდებიან შინაარსით. რაც შეეხება მათ შორის ფონეტიკურ კავშირს, ცნობილია, რომ წყალ- ძირში ყვეორეულია: წყალ- ← წალ-.

წ და ჭ ბგერათა ურთიერთშესატყვისობა ქართვლოურ ენებში საყოველთაოდაა ცნობილი (შდრ. ქართ. წელი, მეგრ. ჭინუ; ქართ. წითელი, მეგრ. ჭითა; ქართ. წერა, მეგრ. ჭარუა...).

აღბათ, საესებით ბუნებრივია, რომ „კოლხურში გვაქვს ჭარ- მარტივი ფუძის ფონეტიკური ვარიანტი ჭორ-, რომელიც საფუძვლად უდევს ჭოროფა-იტყვას. ეს უკანასკნელი კი ისევეა ნაწარმოები, როგორც მეგრული ჯოლოფა (გვალვა) და „ხშირ ავდრებს“ ნიშნავს (3, გვ.182).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭორ- ფუძე შენახული უნდა იყოს მდინარე ჭოროზის სახელწოდებაშიც (5, გვ.117).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭაობ- დიალექტ. ჭარ-ოფ-) ლექსემას საფუძვლად უდევს ჭარ- მარტივი ძირი. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ენაში არსებული, ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები ჭანჭრობიც. ჭანჭრობისათვის ამოსავალი ჩანს ჭარ-ჭარ-ობ-ი. ტრანსფორმაციის პირველ საფეხურზე რედუქციის შედეგად გვექნებოდა ჭარ-ჭ(ა)რობი, შემდეგ კი რეგრესული დისიმილაციით (რ-რ→ნ-რ) მივიღებდით

<sup>1</sup> წაკითხულია „ქუთაისური საუბრების“ III სიმბოზიუმზე (რედაქტ.).

**ჭანჭრობა**- ფორმას.

ქართულში წ თანხმოვნის სავარუდო წარ- ძირის პარალელურად ჭ თანხმოვნის ჭარ-ის (ჭარი, ჭარო) არსებობა წყალთან დაკავშირებული მნიშვნელობით ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ დაპირისპირება წ-ჭ შეიძლება ყოფილიყო საკუთრივ ქართულშიც და არა მანცლამინც ქართველურ ენათა შორის, მაგ. წ ქართულში, ჭ კი — ერთ-ერთ ქართველურში. ამ ვარაუდს ის გარემოებაც უჭერს მხარს, ჭარ- ფორმაში არ გვაქვს არც ჭკ კომპლექსი და არც ჭორ-, რაც მოსალოდნელი იყო, თუ ჭარ-ს, მაგალითად, ზანურიდან მომდინარედ მივიჩნევდით (მეორეს მხრივ, სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო, არაა გამორიცხული, რომ ჭარ- ძირი სვანურიდან მომდინარეობდეს).

საინტერესოა, რომ ჭაობიანი ადგილის აღსანიშნავად რაჭულში გვხვდება ჭარ- ძირის მყდერთანხმოვნის ვარიანტიც: ჭარ-ოვ (←ჭარ-ოფ).

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ქართულ-კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ.ლოონტი, მეორე გამოცემა, თბ., 1984.
2. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
3. არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
4. არნ.ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
5. გ.თოფურია, წყალ- ფუძის შესატყვისობებისათვის ზანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1971, №2.

Otar Mikiashvili

### On the Etymology of the word *ჭაობ*-

#### Summary

In the article the word *ჭაობ* is connected etymologically with the dialectal *ჭაოპ* (←*ჭაობ*) form derived from the *ჭარ* root. *ჭარ*- is considered a phonetic variant of *car* (=ყაი-) simple stem.

In the Rachan dialect *ჭარი* signifies "low, damp locality" which is the same as "swamp" (marsh).